



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



KFW



აჭარის წყლის
აღიანსი

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N20
მარტი, 2022

წყლის საერთაშორისო დღე - 2022 აჭარაში, მიწისქვეშა წყლები

წყლის საერთაშორისო დღე 22 მარტს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება წყლის, წყალარინებისა და ჰიგიენის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. აღნიშნული დღე ხაზს უსვამს წყლის სექტორის სათანადო მართვის აუცილებლობას, უსაფრთხო და საიმედო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის პრობლემების აღმოსაფხვრელად.


გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ყოველწლიურად წყლის საერთაშორისო დღის თემას განსაზღვრავს, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. 2022 წლის წყლის საერთაშორისო დღის თემა, **მიწისქვეშა წყლები**. მიწისქვეშა წყლებს, სხვაგვარად, მსოფლიოში მთავარ თხევად მტკნარ წყლებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გვალვიანი ტერიტორიები მათზეა დამოკიდებული.

„ფართოდ ვრცელდება წყლის მთლიანი მოცულობის და მასთან დაკავშირებული მტკნარი წყლის ხელმისაწვდომობის შემცირების ტენდენცია, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია მიწისქვეშა წყლების ინტენსიურ, ჭარბ მოპოვებასთან.“¹ უფრო მეტიც, „მსოფლიოს რამდენიმე ძირითადი წყალსატენი მზარდი წნეხის ქვეშაა და მიწისქვეშა წყლების უდიდესი სისტემების 30% ამოწურულია.“²

მწვავედ დგას ქაბურღილების მეშვეობით, მიწისქვეშა წყალსატენებიდან მოპოვებული წყლის მოხმარების საკითხი, გაზრდილი დაბინძურების ფონზე. მიწისქვეშა წყლები ხშირად გამოიყენება სარწყავად, ყოველგვარი გაზომვისა და წყლის ხარისხის შემოწმების გარეშე. ხარისხს საფრთხეს უქმნის არასათანადო წყალარინება და სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და სასუქების გამოყენება. მიწისქვეშა წყლების დაბინძურება ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, მიწისქვეშა წყლების, როგორც წყლის ძირითადი რესურსის, გამოყენება სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ და საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სოციალურ მოთხოვნებთან, რაც შეფასებულია გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის ყოვლისმომცველი ანალიზის საფუძველზე. გარდა ამისა, სს „აჭარის წყლის აღიანსი“ პროგრამის ფარგლებში შექმნა წყლის მონიტორინგის სისტემა, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო გაფართოვდება. წყლის მონიტორინგის სისტემა მოიცავს აჭარას, ძირითადი აქცენტებით პროგრამის საპროექტო ტერიტორიებზე. აღნიშნული პროგრამა, ასევე მოიცავს მუხახესტატეს დასახლებისა და ოჩხამურის მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის პროცესს. (მუხახესტატეს დასახლებასა და ოჩხამურში წყლის ძირითად რესურსად, მიწისქვეშა წყლები იქნება გამოყენებული)

აჭარის დაბებისა და სოფლებში თანამედროვე წყალარინების სისტემების შექმნა, არამხოლოდ უზრუნველყოფს ოჯახებს ადეკვატური ინფრასტრუქტურით, არამედ ასევე იცავს მიწისქვეშა წყლებს და ეკოსისტემებს დაბინძურებისგან.



მუხახესტატეს რეზერვუარის დიზაინი
რომელიც მიწისქვეშა წყლით მომარაგდება

1. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000375751>
2. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000375751>

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რეესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ.

პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის აღიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



FICHTNER



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის აღიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



KfW



ატარის წყლის
აღიანსი

AJARA RURAL WATER AND WASTEWATER TREATMENT PROGRAMME

NEWSLETTER N20

MARCH, 2022

World Water Day 2022 in Ajara - Groundwater


The World Water Day is celebrated globally on March 22nd every year to raise awareness of the Water, Sanitation and Hygiene importance. The day highlights the urgency of proper management of a water sector to eradicate the problem about access to safe and reliable drinking water.

The United Nations sets a theme annually to achieve the Sustainable Development Goals (SDGs). The theme of World Water Day 2022 is **Groundwater**. Groundwater or the main liquid freshwater in the world is crucially important since arid areas depend on them. "There are widespread declines in total water storage and associated freshwater availability that are primarily attributed to the intensive over-extraction of groundwater"¹. Moreover, "Several of the world's main aquifers are under increasing stress and 30% of the largest groundwater systems are being depleted"².

The issue related to improper usage of water found underground in aquifers by wells is heavily burdened due to increased pollution. Groundwater is frequently used for irrigation purposes without measurements and water quality checkups. The quality is threatened by improper sanitation and usage of agricultural pesticides and fertilizers. Groundwater contamination poses a significant health-related risk.

Within Ajara Rural Water and Wastewater Treatment Program, the usage of groundwater as water source is in full compliance with the relevant national and international Environmental and Social Requirements, assessed, based on comprehensive Environmental and Social impact Assessment. Moreover, in the framework of the Program, a comprehensive Water Monitoring System has been established, will be further extended, and will be maintained by the AWA for all Ajara with clear emphasis on all Program area. This also includes groundwater monitoring process in Mukhaestate Settlement and Ochkhamuri.

Creating a modern sanitation system for rural Ajara not only provides families with adequate infrastructure and protects groundwater and ecosystems from contamination.



Design of the Mukhaestate Reservoir that will be supplied with groundwater

1. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000375751>
2. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000375751>

GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Treatment Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union. The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara. "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance". The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent. The content of the Programme "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge